საჯარო სამართლის იურიდიული პირის –
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება
№165

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ

ქ. ქუთაისი 28 თებერვალი 2018 წ.

"საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის №132/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-13 მუხლის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის დებულება წარმოდგენილი სახით.
/დებულება თან ერთვის/

3. დადგენილება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

4. დადგენილება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი: პროფ. სულხან კუპრაშვილი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემგომში - „უნივერსიტეტი“) კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის დებულება (შემდგომში - „დებულება“) შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, შრომის კოდექსის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №132/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების (შემდგომში - „უნივერსიტეტის წესდება“), სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე;

1.2. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს უნივერსიტეტის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის (შემდგომში - „ცენტრი“) სტატუსს, ფუნქციებს და ამოცანებს, კომპეტენციას, უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობას, ანგარიშვალდებულებას, სამსახურის სტრუქტურას, მართვის სისტემას და აწესრიგებს სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს;

1.3. დებულებას შეიმუშავებს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და ამტკიცებს უნივერსიტეტის მართვის წარმომადგენლობითი ორგანო - უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო;

1.4. ამ დებულებით განსაზღვრული ცენტრის ფუნქციები და ამოცანები წარმოადგენს ცენტრის საქმიანობის ძირითად მიმართულებას.

მუხლი 2. სამსახურის სტატუსი, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება

2.1 „ცენტრი“ არის უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეული;

2.2 „ცენტრი“ თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, შრომის კოდექსით, უნივერსიტეტის წესდებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებებითა და ამ დებულებით;

2.3 „ცენტრი“პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე და ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე;

2.4 „ცენტრის“ დაფინანსება ხორციელდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან.

მუხლი 3. სამსახურის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

3.1 ცენტრის სტრუქტურას შეიმუშავებს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო;

3.2 ცენტრის ზოგად ხელმძღვანელობას ახორციელებს უნივერსიტეტის რექტორი, ხოლო უშუალო ხელმძღვანელობას ახორციელებს ცენტრის უფროსი;

3.3 ცენტრი მოიცავს შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებს და თანამდებობებს: ცენტრის უფროსი, ცენტრის უფროსის მოადგილე - დარგობრივი მიმართულების კოორდინატორი, სპეციალისტი;

3.4 „ცენტრის“ შიდა პოზიციური სტრუქტურა თან ერთვის დებულებას

3.5 „ცენტრს” ხელმძღვანელობს ცენტრის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი;
3.6 ცენტრის უფროსი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე;
3.7 „ცენტრი“-ს დარგობრივი მიმართულების კოორდინატორებს და სპეციალისტებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი სამსახურის უფროსის წარდგინებით.

მუხლი 4. სამსახურის მიზნები

4.1 „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი უნივერსიტეტის მიზნების მიღწევის ხელშეწყობა და კომპეტენციის ფარგლებში მათი განხორციელების უზრუნველყოფა.

მუხლი 5. სამსახურის ფუნქცია-მოვალეობები

5.1 ცენტრი ხელმძღვანელობს და ახორციელებს უნივერსიტეტში კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სფეროსთან დაკავშირებულ საუნივერსიტეტო საქმიანობას.
5.2 უნივერსიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი, სასწავლო-სახელოვნებო მრავალსპექტრიანი საქმიანობა, საუნივერსიტეტო შემოქმედებითი მოღვაწეობის პოპულარიზაცია და ამასთან დაკავშირებული განვითარების ერთიანი კულტურული პოლიტიკის შემუშავება.
5.3 სტუდენტებისა და პერსონალის შემოქმედებით საქმიანობაში ჩაბმაზე ზრუნვა, მათი ნიჭისა და სურვილის გათვალისწინებით.
5.4 თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი შემოქმედებითი კონტაქტების დამყარება, უნივერსიტეტის სტუდენტების ჰარმონიული განვითარებისა და სახელოვნებო სივრცეში მოზიდვის მიზნით.
5.5 უნივერსიტეტის სტუდენტების ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში.
5.6 საქართველოში ხალხური ფოლკლორის შენარჩუნებაზე, განმტკიცებასა და პოპულარიზაციაზე ზრუნვა.
5.7 საუნივერსიტეტო სპორტის განვითარება, სპორტის პოპულარიზაცია, სპორტული ღონისძიებების, უნივერსიადების ორგანიზება სტუდენტ-ახალგაზრდობასა და თანამშრომლებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად.
5.8 სპორტულ ღონისძიებებში სტუდენტ-სპორტსმენთა მოზიდვა და ნიჭიერი სტუდენტების გამოვლენა, მათთვის ხელშეწყობა მსოფლიო და ქვეყნის მასშტაბით უნივერსიადებში მონაწილეობის მისაღებად უნივერსიტეტის სახელით.
5.9 გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებების მომზადება, სპორტული ბაზებისა და ინვენტარის მოწესრიგება.
5.10 წარმატებული სპორტსმენებისათვის სპონსორების მოძიება და მათთვის მაქსიმალური ხელშეწყობა.
5.11 ახალგაზრდობის პოზიტიური განვითარების მხარდაჭერა - პროცესი, რომელიც გულისხმობს იმ საჭიროებების შესწავლას, რაც დაკავშირებულია ახალგაზრდობის შემეცნებით, სოციალურ, ფიზიკურ, ემოციურ და მორალურ ზრდასთან. პროცესი, რომელიც ეხმარება ახალგაზრდას საკუთარი შესაძლებლობების და უნარების განვითარებასა და რეალიზაციაში.

5.12 უზრუნველყოს და ხელი შეუწყოს, რომ ახალგაზრდები ორიენტირებულები იყვნენ საკუთარი უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებაზე, აცნობიერებდნენ, რომ ახალგაზრდული ასაკი საუკეთესო პერიოდია საკუთარი პროფესიისა, თუ სხვა დამატებითი უნარ-ჩვევების მისაღებად, გააჩნდეთ შესაბამისი სურვილი და მოტივაცია დამოუკიდებლად იზრუნონ საკუთარ განვითარებაზე;

მუხლი 6. სამსახურის უფლებამოსილება და პასუხიხმგებლობა

6.1 „ცენტრის“ ფუნქციებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, სამსახურისა და მისი თანამშრომლების უფლებამოსილებათა ერთობლიობა წარმოადგენს სამსახურის კომპეტენციას;

6.2 „ცენტრი“ მასზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებისას, უფლებამოსილია:

ა)გამოითხოვოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან ინფორმაცია სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებილ საკითხებზე;

ბ) შეამოწმოს უნივერსიტეტის მასშტაბით კულტურისა და სპორტის სფეროში არსებული მდგომარეობა და საჭიროების შემთხვევაში შემოწმების შედეგები აცნობოს უნივერსიტეტის რექტორს;

გ) ჩაატაროს მონიტორინგი უნივერსიტეტში კულტურისა და სპორტის სფეროს მდგომარეობის შესახებ;

6.3 ცენტრი პასუხისმგებელია:

ა) ამ დებულებით განსაზღვრული ფუნქციების და ამოცანების შესრულებაზე;

ბ) უნივერსიტეტში კულტურისა და სპორტის სფეროს განვითარებისუზრუნველყოფაზე;

გ) უნივერსიტეტის მართვის ორგანოების მითითებისა და დავალებების შესრულებაზე;

დ) გადაცემული ქონების მოვლა-პატრონობაზე.

მუხლი 7. სამსახურის პერსონალი

7.1 სამსახურის პერსონალის მიღების წესი განისაზღვრება შრომის კანონმდებლობით და უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის შესაბამისად.

7.2 სამსახურის პერსონალის შრომითი ურთიერთობები განისაზღვრება წერილობითი შრომითი ხელშეკრულებით.

7.3 სამსახურის პერსონალის სამუშაო აღწერილობა და საქმიანობასთან დაკავშირებული ინსტრუქციები თან ახლავს დებულებას.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

8.1 წინამდებარე დებულების ან მისი ნაწილის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობა, დებულებაში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანა ხდება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ;

8.2 ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც მოწესრიგებული არ არის ამ დებულებით, რეგულირდება უნივერსიტეტის წესდებით.

კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის პოზიციური სტრუქტურა